ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა


კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - მთაწმინდის პარკის ფარგლებში მდებარე სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორის ტექნიკური დანიშნულების ნაგებობებისაგან გამოთავისუფლებისათვის



თბილისი


2023, მაისი


მთაწმინდის პარკის ტერიტორია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, შესაბამისად მასზე არსებული ნაგებობები ამ სტატუსის დაცვის ქვეშ ხვდება.



მთაწმინდა თბილისის ბუნებრივი დომინანტია. მთაწმინდის ფერდი საუკუნეების განმავლობაში გაუნაშენიანებელი იყო და მხოლოდ მის შუა წელზე არსებობდა ჯერ კიდევ ადრე, შუა საუკუნეებიდან საეკლესიო ნაგებობა. დღეს ამ ტაძრის კვალი აღარ არსებობს, ხოლო ის ეკლესია, რომელსაც „მამა დავითი“ ჰქვია, რიგით მესამეა და XIX საუკუნის შუა წლებს განეკუთვნება.

მთაწმინდამ სახელი მიიღო ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავანის – ათონის მთის მიხედვით. გადმოცემით, მთის აღმოსავლეთ კალთაზე სენაკი გამოუქვაბავს ერთ-ერთ ასურელ მამას – დავითს. IX საუკუნეში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა, მის ადგილას 1542 წელს ძმებმა ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებმა წმ. დავითის მონასტერი ააშენეს. ახლანდელი ეკლესია აგებულია 1871 წელს. აქვეა მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესია (აგებულია 1809 წელს). ეკლესიებთან მისასვლელი გზა გაიყვანეს 1817 წელს. XIX საუკუნის დასაწყისამდე მთაწმინდა ტყით იყო შემოსილი.





1900 წლის ივლისს ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თბილისში ფუნიკულიორის გაყვანის შესახებ და დაამტკიცა ბელგიელი ინჟინრის ალფონს რობის პროექტი.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემდეგს: მშენებლობის დამთავრების შემდეგ ფუნიკულიორის გზის თვითმმართველობისათვის გადაცემას, 5 წლამდე ბავშვების, ფოსტის დამტარლებლებისა და პოლიცია-ჯანდარმერიის უფასო მგზავრობას, ბელგიის ანონიმური საზოგადოება ფუნიკულიორს ექსპლუატაციას გაუწევდა 45 წლის განმავლობაში, შემდეგ კი იგი უსასყიდლოდ გადაეცემოდა ქალაქს. ხელშეკრულებაში ნავარაუდევი იყო აგრეთვე მთაწმინდასა და კოჯორს შორის ელექტრული რკინიგზის გაყვანა.

ფუნიკულიორის მშენებლობა 1903 წლის სექტემბერს დაიწყო, მის მშენებლობაში მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები. მშენებლობის პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა ა. ბლანშმა, არქიტექტურული ნაწილი დაამუშავა თბილისელმა ხუროთმოძღვარმა ა. შიმკევიჩმა. გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი და იტალიელი ინჟინრები ი. რაგოლერი და ა. ფონტანა-როსი. ფუნიკულიორის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივით მოკლე დროში შესრულდა რკინაბეტონის სამუშაოები ესტაკადისათვის.



ფუნიკულიორი გაიხსნა 1905 წლის 27 მარტს. გაზეთი „კავკაზი” წერდა, რომ ორივე სადგური დროშებით იყო მორთული. დილის 10 საათისთვის ფუნიკულიორის ქვედა დარბაზში თავი მოიყარა მიწვეულმა ხალხმა. ქალაქის თავმა, გამგეობის წევრებმა, სხვადასხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა. კურთხევის დაწყების წინ დავითის ეკლესიის ხელმძღვანელმა ო. მაქაროვმა (ალბათ,

მაქარაშვილმა) წარმოთქვა სიტყვა. მადლობა გადაუხადა ფუნიკულიორის თაოსნებს და მშენებლებს. წირვა-კურთხევის შემდეგ სტუმრები ვაგონში შევიდნენ.

ვაგონის წინა ბაქანზე მოთავსდნენ – ო. მაქაროვი, ქალაქის თავი, ფუნიკულიორის მშენებელი ბატონი ბლაში, ბელგიის ვიცე-კონსული ბატონი აივაზოვი და სხვები. როცა ვაგონის წინ გაჭიმული ლენტი გადაჭრა, ქალაქის თავმა თქვა: "ქალაქ ტფილისის მოსახლეობის სახელით მივესალმები ამ ბრწყინვალე წარმოებას და ვაცხადებ ტფილისის ფუნიკულიორს გახსნილად". გაისმა სასიგნალო ზარები და ვაგონი დაიძრა.

ამავე დროს ზედა სადგურიდან მეორე ვაგონმა დაიწყო დაშვება. ნელა მიიწევდა ვაგონი ზევით. სტუმრების წინ იშლებოდა თბილისისა და მისი გარეუბნების ლამაზი ხედი, კავკასიის მთების პანორამა და ბოლოს გამოჩნდა შორეული ყაზბეგის მოთეთრო მწვერვალი. 6 წუთის შემდეგ ვაგონი ზედა სადგურთან გაჩერდა. გაისმა ერთსულოვანი "ვაშა", შესრულდა შემხვედრი მარში. სიმღერის თანხლებით მღვდელმა წმინდა წყალი აპკურა სადგურსა და სამანქანო განყოფილებასთან შეკრებილთ. სადგურის დათვალიერების შემდეგ სტუმრები ავიდნენ ზევით, მეორე სართულზე, სადაც ვრცელ დარბაზში მათ შესთავაზეს საუზმე და შამპანური. წარმოითქვა სიტყვები, სადღეგრძელოები. იმ საზეიმო დღეს მთელი ძალით მუშაობდა თბილისის ფუნიკულიორი.



პეტერბურგში გამომავალი ჟურნალი "ნივა" (1905, #38) თბილისის ფუნიკულიორზე წერდა: "ეს შესანიშნავი ნაგებობაა მოწყობილი ცნობილი უცხოეთის ფუნიკულიორების მსგავსად. რაღაც დაახლოებით ასეთი რამ არსებობს ქვედა ნოვგოროდში, მაგრამ იქაური ფუნიკულიორი ვერც კი შეედრება წმინდა დავითის მთაზე აგებულ გზას. ამჟამად თბილისის ფუნიკულიორი დიდი წარმატებით

სარგებლობს თბილისის მცხოვრებთა შორის და წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველოს დედაქალაქი".

მაშინ, 1905 წელს, თბილისმა შესანიშნავი ნაგებობა შეიძინა და ფუნიკულიორი ქალაქის სავიზიტო ბარათი გახდა.

თბილისის ფუნიკულიორის გახსნას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა ნიკო ფიროსმანმა.



თბილისის ფუნიკულიორი მსოფლიოს სამთო-საბაგირო გზებს შორის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაგებობაა. გზის სიგრძე – 501 მ, ლიანდაგის დახრის კუთხე – 28-33°, ხოლო რელსებს შორის მანძილი – 0,98 მ.ვაგონში 50 კაცი ეტევა. ფოლადის ბაგირის დიამეტრი 33 მმ. ფუნიკულიორის რკინიგზას სამი გაჩერება აქვს. გზის შუა ადგილზე მოწყობილია 70 მ სიგრძის სპეციალური ბაქანი, სადაც ვაგონები გვერდს უვლიან ერთმანეთს. აქედან უკავშირდებიან მგზავრები მთაწმინდის პანთეონს.





ზედა სადგურზე კოშკურებიანი ორსართულიანი ნაგებობა, "როტონდა" აიგო, სადაც იმავდროულად კაფე-ბარი და რესტორანი იყო განთავსებული. ფუნიკულიორის ზედა სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან 727 მ, ქვედა სადგურისა 460 მ, სადგურებს შორის დონეთა სხვაობა – 267 მ.






ფუნიკულიორის პირველი რეკონსტრუქცია ჩატარდა 1936-1938 წლებში, დამველებული ზედა სადგურის ადგილას აშენდა ახალი (ავტორები არქიტექტორები: ზ. და ნ. ქურდიანები, თანაავტორი ა. ვალაბუევი). 1968-1969 წელს ამჯერად ძველი ქვედა სადგურის ნაცვლად აიგო ახალი შენობა, შეიცვალა ვაგონების ძარები და გაფართოვდა ფუნიკულიორთან მისასვლელი მოედანი.

მთაწმინდის პარკი ფუნიკულიორის ზედა სადგურის ღერძზე 1930 წელს გაშენდა. მისი ფართი 100 ჰექტარს აღემატება და თბილისის ყველაზე მაღალი პარკია. პარკის მთავარი ღერძი 210 მეტრი სიმაღლის სატელევიზიო კოშკი - ანძაა. პარკს თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილმდებარეობა აქვს.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთაწმინდის პლატოზე კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა, რომლის შემადგენელი ნაწილია ზ. და ნ. ქურდიანების მიერ დაპროექტებული ფუნიკულიორის ზედა სადგურის და რესტორნის შენობა. მის არქიტექტურაში ოსტატურადაა გამოყენებული იმდროინდელ დასავლეთში პოპულარული არტ-დეკოს არქიტექტურის მხატვრული ესთეტიკა.


ნაგებობის თეთრი მოცულობა თავისი გამჭვირვალე მსუბუქი თაღებითა და აზიდული სვეტებით 40-იანი წლების ქართული არქიტექტურული სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მიღწევაა. ქურდიანების შენობის ზუსტად ნაპოვნი მასშტაბი და მისი თანაფარდობა ბუნებრივ ლანდშაფტთან გადამწყვეტი აქცენტი გახდა მთაწმინდის ურბანულ ათვისებაში და თავისი სრულყოფილებით საბოლოოდ უკუაგდო მთაწმინდის ფერდის განაშენიანების უტოპიური იდეები (ასეთი განზრახვები არსებობდა როგორც მეფის რუსეთის დროს, ასევე საბჭოთა პერიოდში).

მამა დავითზე, იქ, სადაც დღეს თბილისის ფუნიკულიორის ზედა სადგური დგას, თითქმის 70 წლის წინათ, საბჭოთა ბელადის, სტალინის, 80 მეტრის სიმაღლის ძეგლის დადგმა ჰქონდათ განზრახული.



არქიტექტორი ბოგდან კირაკოსიანი სტალინის მონუმენტზე ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა და სურდა ძეგლი თბილისის თავზე აღემართა, როგორც „გრანდიოზული პიროვნების გრანდიოზული გამოხატვის“ ერთადერთი მაგალითი. მისი აზრით, შორს არ იყო ის დღე, როდესაც მომავალი თაობები ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 და თბილისის დაარსების 1500 წლისთავს გრანდიოზულად იზეიმებდნენ.





როგორც ჩანს, ადგილის შერჩევის პროცესს არიტექტორი შემოქმედებითად მიუდგა. თბილისის გარშემო არსებული მთის ლანდშაფტი მას კარნახობდა არქიტექტურული კავშირი შექმნის აუცილებლობას მთის ქვემოთ გაშენებულ ქალაქსა და მთის ჰორიზონტს შორის, პირით აღმოსავლეთისაკენ დადგმული საბჭოთა ბელადის სახის ნაკვთები დილით ამომავალი მზის სხივებს უნდა გაენათებინა, საღამოს კი, დედაქალაქს სტანილის სილუეტი უნდა დასდგომოდა თავზე.

ბოგდან კირაკოსიანს, 1948 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან კანდიდ ჩარკვიანისთვის წერილობით მიუმართავს თხოვნით, – დიდი ბელადის მონუმენტი მამა დავითის მთაზე დამადგმევინეო.


საბედნიეროდ, ამ იდეას განხორციელება არ ეწერა ისევე, როგორც მთაწმინდის ფერდის განაშენიანების სხვა იდეებს და დღესაც მთაწმინდა თითქმის შეულახავი სილუეტით დაჰყურებს თბილისს.




მთაწმინდის პარკის გენერალური გეგმა ერთიანი, მხატვრულ-არქიტექტურული კონცეფციით არის შექმნილი და ძირითადი შენობის ავტორების ზ. და ნ. ქურდიანების, ასევე არქიტექტორ მ. კალგინის და დენდროლოგ მ. ციციშვილის მონაწილეობით განხორციელდა.



გეგმა დღევანდელი მდგომარეობით ნაწილობრივ არის განხორციელებული, თუმცა ძირითადი მოხაზულობა, შენობების დასმა და ურთიერთმიმართება ფაქტობრივად შენარჩუნებულია. პარკის გენგეგმის მთავარი შემკრები ობიექტი ფუნიკულიორის ზედა ტერასაზე განთავსებული რესტორნის შენობაა, რომლის ირგვლივ ლაგდება ლანდშაფტურ-არქიტექტურული ობიექტები და გამწვანებული ტერიტორიები.



1969 წლის გეგმის მიხედვით პარკი კიდევ მეტად უნდა განვითარებულიყო და მასში მთელი რიგი გასართობი და სპორტული ობიექტები უნდა განთავსებულიყო, თუმცა, ეს გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.



არსებული და საპროექტო შენობები, 1969წ

აუთენტური გეგმარებიდან და ობიექტებიდან დღეის მდგომარეობით კარგად არის შემონახული თავად რესტორნის შენობა, მის წინ ღია სივრცითი მონაკვეთი და ნაწილობრივ ლამპიონებისა და კიბეების სისტემა. თუმცა, პარკის ამ ნაწილში, ისევე, როგორც ზოგადად მთელს ტერიტორიაზე, გადაჭარბებულად არსებობს თანამედროვე გასართობი ატრაქციონების კონსტრუქციები, რომლებიც უმეტესწილად არ შეესაბამება ამ ლანდშაფტურ-არქიტექტურული ძეგლის იერსახეს.




თბილისის სატელევიზიო კოშკი (ანძა) დამოუკიდებლად მდგომი სტრუქტურაა და მდებარეობს თბილისში, მთაწმინდაზე (ფუნიკულიორი). მისი სიმაღლე მიწის ზედაპირიდან შეადგენს 274,5 მეტს (901 ფუტი), ზღვის დონიდან 719,2 მეტრ სიმაღლეზე (ქალაქიდან 300 მ-ზე). ის მთლიანად შედგება სპეციალური მეტალის კონსტრუქციებისაგან. სატელევიზიო ანძას გააჩნია ორი ტექნიკური ნაგებობა („სამკუთხედი“ და „მრგვალი“). „სამკუთხედი“ ნაგებობა მდებარეობს მიწის სიმაღლიდან 77 მ-ზე. „მრგვალი“ ნაგებობა - 164 მ-ზე.



1955 წელს აშენებული პირველი ტელეანძის დემონტაჟის შემდეგ, 1972 წელს დაიწყო თანამედროვე ტიპის სატელევიზიო ანძის მშენებლობა, რომელიც დაპროექტდა შიმანოვსკის სახელობის უკრაინის მეტალო კონსტრუქციების სამეცნიერო საკვლევ-საპროექტო ინსტიტუტის მიერ. ახალი სატელევიზიო ანძის მშენებლობა დასრულდა და ექსპლუატაციაში გაეშვა **1974 წლის 30 ნოემბერს**. თბილისის სატელევიზიო ანძა ევროპის უნიკალური ანძების სიაშია შეტანილი.



საკვლევი ობიექტები სატელევიზიო ანძის მრავალმეტრიანი შენობის ძირში მდებარეობს და სხვადასხვა დროის და სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკურ ნაგებობებს წარმადგენს.



ობიექტები არ არის დაგეგმარებული ერთიანი პროექტის მიხედვით და არ ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - მთაწმინდის პარკის ლანდშაფტურ გარემოს, შესაბამისად შეუსაბამოდ გამოიყურება.






დასკვნა-რეკომენდაცია

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე სატელევიზიო ანძის მიმდებარედ, ე.წ. ბომბორას ქუჩაზე არსებული შეუსაბამო იერსახის მქონე ტექნიკური დანიშნულების ნაგებობები: ს/კ სასურველია დაიშალოს (ან ჩანაცვლდეს) დაცული ტერიტორიის მოთხოვნების შესაბამისად.

ხელოვნებათმცოდნე

ლალი ანდრონიკაშვილი